ხელშეკრულება N01-38/19

ქ. ბათუმი 10 თებერვალი 2016 წელი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ერთის მხრივ სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო, უფროსის თემურ ყურშუბაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ირაკლი აფაქიძის სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი" დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ბალანსზე რიცხული სპეც.ტექნიკა ბელარუსზე ავტონაწილების (საქონელი) მოწოდება დანართი 1-ის შესაბამისად (დანართი 1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს), ხოლო ,,შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს აღნიშნული საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

- CPV 50112000 – 200 ლ

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

2. მომსახურების მიღება-ჩაბარება

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ დანართი 1 –ის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.2. მიღება ჩაბარებას ახორციელებენ სათანადო უფლებამოსილი პირები (მატერიალურ ტექნიკური სამსახურის სპეციალისტი ჯამლეთ ფაღავა), რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

3.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.
3.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
3.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

4. ანგარიშსწორება

. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში და უნაღდო ანგარიშსწორების ,ორმით, ლარებში.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 დღის ვადაში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა, ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და თანხის მიზნობრივად ხარჯვის კონტროლი.

8. სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

8.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

9. შეტყობინება

9.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხრივ, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

9.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენის დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. საქონლის მიწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. საქონლის მოწოდების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2016 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

10.2. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედების ვადაა 2016 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია 3(სამი) თანაბარი იურიდიული ძალის ქონე ეგზემპლარად. აქედან 1 ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, 2 ეგზემპლარი – შემსყიდველთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

მიმწოდებელი	"შემსყიდველი"
ი/მ ირაკლი აფაქიძე	სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო
იურიდ.მის: ხელვაჩაური	მის: ქ.ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. 124
„საქათრელოს ბანკი"	მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ/კ:**BAGAGE22**	ანგარიშის N 740397499
ანგარიში: GE76BG0000000794459900	მ/ბ სახელმწიფო ხაზინა
ს /კოდი 61006050458	ბანკის კოდი TRESGE22
	ს/კ 245631428
ი/მ ირაკლი აფაქიძე	სააგენტოს უფროსის თემურ ყურშუბაძე

დანართი 1

2016 წლის 10 თებერვლის N01-38/19 ხელშეკრულებაზე

ფასების ცრილი

მოწოდებული საქონელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
სამუხრუჭე ხუნდი წინა	5 ცალი	40 ლარი	200 ლარი
ს უ ლ			200 ლარი

სააგენტოს უფროსი თემურ ყურშუბაძე

ი/მ ირაკლი აფაქიძე